

ვებგვერდი, 13/11/2018  
სარეგისტრაციო კოდი  
010240010.10.003.020853

საქართველოს მთავრობის  
დადგენილება №537  
2018 წლის 12 ნოემბერი ქ. თბილისი

ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო  
გეგმის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

*მამუკა*

*ბახტაძე*



ღია მმართველობა საქართველოს  
2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა

## სარჩევი

### შესავალი

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი – ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმი

საჯარო კონსულტაციები

არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციები

მესამე სამოქმედო გეგმის ნოვაციები

გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

ვალდებულება 1: გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის

ვალდებულება 2: მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა

ვალდებულება 3: სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვის გზით

ვალდებულება 4: ეკონომიკური მმართველობის ინოვაციური პლატფორმა

ვალდებულება 5: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება

გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება

ვალდებულება 6: არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება

ვალდებულება 7: საზოგადოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი

ვალდებულება 8: საკანონმდებლო აქტების შემუშავება მოქალაქეთა ჩართულობითა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე

ვალდებულება 9: სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა

ვალდებულება 10: შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა

გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

ვალდებულება 11: საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა

ვალდებულება 12: სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა

ვალდებულება 13: ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის

გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა

ვალდებულება 14: საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება

გამოწვევა V: კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება

ვალდებულება 15: სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობა და ანგარიშვალდებულება

მუნიციპალიტეტების ორგანოები

ვალდებულება 1: გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში

ვალდებულება 2: ღია მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში

ვალდებულება 3: ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობისა და მონაწილეობის გაუმჯობესება

ვალდებულება 4: ქალაქ ბათუმში საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება მონაწილეობითი ბიუჯეტების ინსტიტუციონალური მექანიზმის დანერგვის გზით

ვალდებულება 5: შენი იდეა ზუგდიდის მერს

ვალდებულება 6: ქალაქ ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება

ვალდებულება 7: I.Gov.ზუგდიდი

ვალდებულება 8: სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის გაზომვის სისტემის დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

### შესავალი

საქართველოს მთავრობა მმართველობის ღიაობას, გამჭვირვალობას, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას დემოკრატიული საზოგადოებისთვის ფუძემდებლურ ღირებულებებად მიიჩნევს და ერთგულად განაგრძობს ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership – OGP) პრინციპების დამკვიდრებას საჯარო მმართველობაში.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც 2011 წელს OGP-ის შეუერთდა და, აწ უკვე განხორციელებული სამი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმაც განახორციელა.

2014 წელს საქართველო OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრი გახდა, ხოლო 2016 წელს – თანათავმჯდომარე სახელმწიფო 2017-2018 წლების ვადით. როგორც თავმჯდომარე ქვეყანამ, საქართველომ 2018 წლის 17-19 ივლისს OGP-ის მეხუთე გლობალურ სამიტს უმასპინძლა. ღონისძიებაში 70-ზე მეტი ქვეყნის, ასობით სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სამიტის ფარგლებში 80-მდე პანელი და სესია გაიმართა.

წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს რიგით მეოთხე სამოქმედო გეგმაა.

### სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) შემუშავებულია ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) მიერ, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის (შემდგომში – ფორუმი) ფარგლებში. სამდივნომ სამუშაო პროცესი ფორუმის წევრ საჯარო უწყებებთან და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

თანამშრომლობით დაიწყო. მათი მხრიდან სამდივნოს წარედგინა წინადადებები და იდეები იმ სამომავლო ვალდებულებების შესახებ, რომლებიც, მათი აზრით, ახალი სამოქმედო გეგმის ნაწილი უნდა გამხდარიყო. გარდა ამისა, სამდივნომ ინდივიდუალური შეხვედრების რეჟიმში იმუშავა იმ უწყებებთან, რომლებიც მანამდე ღია მმართველობა საქართველოს საქმიანობაში არ ყოფილან ჩართულნი.

სამდივნოს თავიანთი რეკომენდაციები წარუდგინეს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. მათი იდეების ნაწილი ვალდებულებების სახით აისახა გეგმაში. ქვეყნის მასშტაბით გამართულ საჯარო კონსულტაციებში აქტიურად მონაწილეობდა და სამდივნოს მხარს უჭერდა USAID-ის პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (GGI).

### **ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი – ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმი**

ფორუმი ღია მმართველობა საქართველოს მუდმივმოქმედი ეროვნული კოორდინაციის მექანიზმია. ფორუმის მიზნები, საქმიანობის წესი და სხვა პროცედურული საკითხები გაწერილია ფორუმის სახელმძღვანელო წესებში, რომელიც ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ ფორუმის წევრებთან ერთად შეიმუშავა. ფორუმის შემადგენლობა ეტაპობრივად იზრდება პასუხისმგებელი უწყებებისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების უკეთესი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით. **მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავების შედეგად, ფორუმს 8 ახალი წევრი შემოემატა.**

ფორუმს ხელმძღვანელობენ თანათავმჯდომარეები, რომელთაგან ერთი საქართველოს მთავრობას, ხოლო, მეორე არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად წარუდგენენ ფორუმს თავიანთ კანდიდატს, რომელსაც ირჩევს ფორუმი. ფორუმის ფუნქციებს შორისაა სამოქმედო გეგმის მომზადების ხელშეწყობა, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა და ჩატარება, სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგი და ხელშეწყობა, ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ფორუმი რეგულარულად იკრიბება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

ფორუმის რეგულარულ სამუშაო შეხვედრებთან ერთად, მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავებას აგრეთვე დაეთმო ინდივიდუალური შეხვედრები და ინტენსიური კონსულტაციები სამდივნოს, პასუხისმგებელ უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი ფორუმმა 2018 წლის 13 ივლისს დაამტკიცა.

### **საჯარო კონსულტაციები**

OGP-ის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო წესების შესაბამისად, ფორუმმა, არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობით, საქართველოს მასშტაბით ჩასატარებელი საჯარო კონსულტაციების გეგმა შეიმუშავა: დეტალურად გაიწერა შეხვედრების მიზანი, ფარგლები, შეხვედრების გამართვაზე პასუხისმგებელი არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

საჯარო კონსულტაციები, „USAID“-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების მხარდაჭერით, საქართველოს 10 ქალაქში ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით გამართულ 13 შეხვედრაში მონაწილეობა 500-მდე დაინტერესებულმა პირმა მიიღო. საჯარო კონსულტაციებში მუნიციპალიტეტების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული მოქალაქეები მონაწილეობდნენ. საჯარო კონსულტაციებში საკუთარი წვლილი შეიტანა საქართველოს ადგილობრივმა მედიამ, როგორც შეხვედრებში მონაწილეობის მიღებით, ისე აღნიშნულ პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით.

### **არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციები**

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ ახალი სამოქმედო გეგმის ვალდებულებებთან დაკავშირებით რეკომენდაციები რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისაგან მიიღო. მათ შორის არიან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. სამდივნოს რეკომენდაციები წარუდგინა USAID-მა და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP). აღნიშნული რეკომენდაციების გაზიარების მიზნით სამდივნომ რელევანტურ უწყებებთან ინდივიდუალური შეხვედრები გამართა. შედეგად, რეკომენდაციების ნაწილი სამოქმედო გეგმაში აისახა.

რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო განხილვა ფორუმის გაფართოებულ სხდომაზე 2018 წლის 13 ივლისს გაიმართა. ამავე სხდომაზე ფორუმი სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო ვერსიაზე შეთანხმდა.

### **სამოქმედო გეგმის მიმოხილვა**

სამოქმედო გეგმაში გაერთიანებულია **21 პასუხისმგებელი უწყების 23 ვალდებულება**, რომლებიც შესაბამისობაშია OGP-ის პრინციპებთან. გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები პასუხობს **OGP-ის ხუთივე გამოწვევას**: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება.

**საჯარო მომსახურების გაუმჯობესების** გამოწვევაში გაერთიანებულია ხუთი ვალდებულება:

- გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის;
- მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა;
- სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვის გზით;
- ეკონომიკური მმართველობის ინოვაციური პლატფორმა;
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ოთხი ვალდებულება **საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლების** გამოწვევას უკავშირდება. ეს ვალდებულებებია:

- არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება;
- საზოგადოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი;
- საკანონმდებლო აქტების შემუშავება მოქალაქეთა ჩართულობითა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე;
- სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და სამიტიბო სისტემის შექმნა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა.

**სამოქმედო გეგმა საჯარო რესურსების უკეთესი მართვის** გამოწვევას სამი მნიშვნელოვანი ვალდებულებით პასუხობს:

- საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა;
- სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა;
- ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მქონე გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის.

სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური ვალდებულება **უსაფრთხო გარემოს შექმნის** გამოწვევას ეხმიანება:

- საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესების** გამოწვევას სამოქმედო გეგმა შემდეგი ვალდებულებით პასუხობს:

- სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება.

**11 მუნიციპალიტეტი** კი ღია მმართველობის პრინციპებს შემდეგი ვალდებულებებით უპასუხებს:

- გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში;
- ღია მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში;
- ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობისა და მონაწილეობის გაუმჯობესება;
- ქალაქ ბათუმში საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება მონაწილეობითი ბიუჯეტების ინსტიტუციონალური მექანიზმის დანერგვის გზით;
- შენი იდეა ზუგდიდის მერს;
- ქალაქ ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალიტეტში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება;
- I.Gov. ზუგდიდი;
- სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის გაზომვის სისტემის დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება 2018-2019 წლებში, პასუხისმგებელი უწყებებისათვის შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების გათვალისწინებით.<sup>1</sup> რაც შემთხვევებში გამოყენებული იქნება დონორთა დახმარება.

### მესამე სამოქმედო გეგმის ნოვაციები

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, OGP საქართველოს სამდივნომ გაითვალისწინა არასამთავრობო და OGP-ის სამდივნოს რეკომენდაციები შეეცდებინა ვალდებულებათა რაოდენობა და გეგმაში შეეტანა მხოლოდ ტრანსფორმაციული ეფექტის მქონე ვალდებულებები.

შესაბამისად, სამოქმედო გეგმა პირველად ეხება ისეთ თემებს, როგორცაა სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა, საცხოვრისის პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობა, ეკონომიკური რეფორმების თუ საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობა და სხვა.

ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების გეგმის ერთ-ერთი ნოვაცია იყო **მუნიციპალიტეტების ჩართულობა**. პირველად ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმამ ცალკე, დამოუკიდებელ კომპონენტად მოიაზრა 5 მუნიციპალიტეტის ვალდებულებები. სამდივნოს ძალისხმევით და USAID-ისა და UNDP-ის მხარდაჭერით, ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდა. USAID-ისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანაორგანიზებით, ასევე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელშეწყობით, გაიმართა შეხვედრა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ღია მმართველობის გამოწვევები და შესაძლებლობები, რომელთა გამოყენება თვითმმართველობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. შედეგად, 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა უკვე **11 მუნიციპალიტეტის** ვალდებულებას ითვალისწინებს.

<sup>1</sup>ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის ბიუჯეტი, დანართი 1, გვ. 44.

### გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

#### ვალდებულება 1: გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის

საქართველოს მთავრობამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რათა შეიქმნას ეფექტიანი საჯარო ადმინისტრირების სისტემა, რომელიც გააძლიერებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმ პირი) უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ მოახდინა საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირება, მათ შორისაა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ (UNCRC), გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები 2030 (Sustainable Development Goals – SDGs) და სხვა.

სსიპ – იუსტიციის სახლის (იუსტიციის სახლი) მიზანია სახელმწიფო სერვისებზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდა და გამარტივება. იუსტიციის სახლი საქართველოში სახელმწიფო სერვისების ყველაზე დიდი მიმწოდებელია, ამდენად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყოველწლიურად, მისი მომსახურებით ასობით შშმ პირი სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესებულია შშმ პირებისთვის მომსახურების მიწოდების ხარისხი, ამ პროცესში მათ კვლავაც უწევთ გარკვეულ გამოწვევებთან გამკლავება.

იმისათვის, რომ არსებული გამოწვევები გადავლახოთ, აუცილებელია:

- იუსტიციის სახლის თანამშრომელთათვის შემუშავდეს შშმ პირთა მომსახურებასთან დაკავშირებით მკაფიო პროცედურები;
- გაუმჯობესდეს იუსტიციის სახლის თანამშრომლების უნარები და კომპეტენციები.

წინამდებარე გეგმის ფარგლებში, შშმ პირების ჩართულობით და უშუალო მონაწილეობით, შემუშავდება **შშმ პირთა მომსახურების ხარისხის სტანდარტი, ჟესტების ენის სახელმძღვანელო**.

ამ ვალდებულების განხორციელების გზით, იუსტიციის სახლი გახდება საქართველოში პირველი საჯარო დაწესებულება, რომელიც დანერგავს შშმ პირების მომსახურების სტანდარტს.

<b>ვალდებულება 1: გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის</b>	
<b>წამყვანი დაწესებულება</b>	სსიპ – იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია	UNDP – საქართველო; დონორი – შვედეთის მთავრობა		
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>	<p>იუსტიციის სახლში შექმნილია მომსახურების ხარისხის სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთან კომუნიკაციის წესებსა და მომსახურების პროცედურებს. თუმცა, აღნიშნული სტანდარტი არ შეიცავს იმ სპეციალურ წესებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია შშმ პირთა მომსახურების პროცესში. საგულისხმოა, რომ მომსახურების მიმწოდებელ არცერთ საჯარო სტრუქტურაში მსგავსი სტანდარტი შემუშავებული არ არის და შესაბამისად, არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რაც გახდებოდა შშმ პირთა უფლებების დაცვის ნაწილში სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ჟესტების ენაზე არ არსებობს იმ სპეციფიკური ტერმინოლოგიის შესატყვისი აღნიშვნები, რაც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საჯარო სერვისების მიწოდებისას გამოიყენება. დამატებით, სტანდარტების და სახელმძღვანელოების არარსებობა განაპირობებს საჯარო სერვისების მიმწოდებელი პერსონალის დაბალ კომპეტენციას, რაც შშმ პირებისთვის მნიშვნელოვანი ბარიერია.</p>			
<b>მთავარი მიზანი</b>	შშმ პირებისათვის სერვისების მიწოდების სტანდარტის, ჟესტების ენის სახელმძღვანელოს შემუშავებისა და შშმ პირების მომსახურების საკითხზე იუსტიციის სახლის თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლების გზით საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება			
<b>OGP ღირებულება</b>	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
		✓	✓	
<b>განხორციელების ეტაპები</b>	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
საჭიროებების კვლევა (შშმ პირთა უშუალო მონაწილეობით ფოკუსჯგუფებისა და მრგვალი მაგიდის ფორმატში)	ახალი	ივნისი, 2018	ოქტომბერი, 2018	
შშმ პირთა მომსახურების სტანდარტის სახელმძღვანელოს შემუშავება	ახალი	ივლისი, 2018	ოქტომბერი, 2018	
(1) შშმ პირებისთვის სერვისების მიწოდების პროცესში მათ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგ მოდულის შემუშავება; (2) ტრენინგთა ტრენინგებისა და სხვა ტრენინგების ჩატარება იუსტიციის სახლის თანამშრომელთათვის;	ახალი	აგვისტო, 2018	ნოემბერი, 2018	
ჟესტების ენაზე საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი ტერმინოლოგიის შექმნა და შშმ პირებისა და იუსტიციის სახლის თანამშრომლებისათვის სახელმძღვანელოს შემუშავება	ახალი	ივლისი, 2017	ოქტომბერი, 2018	
თანამშრომელთა გადამზადება ჟესტების ენის შესწავლის მიზნით	ახალი	სექტემბერი, 2018	ნოემბერი, 2018	
მოსახლეობის, განსაკუთრებით შშმ პირებისა და მათ ოჯახის წევრების, ცნობიერების ამაღლება იუსტიციის სახლში არსებული შშმ პირთათვის ადაპტირებული სერვისების შესახებ	ახალი	ნოემბერი, 2018	დეკემბერი, 2018	
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>საჭიროებების კვლევის მიზნით ჩატარებულია სამი ფოკუსჯგუფი შშმ პირთა მონაწილეობით;</li> <li>უზრუნველყოფილია შშმ პირთა ჩართულობა სტანდარტისა და ჟესტების ენის სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში, რისთვისაც ორგანიზებულია 4 შეხვედრა შშმ პირებთან მრგვალი მაგიდის ფორმატში;</li> <li>შექმნილია შშმ პირთა მომსახურების სტანდარტი და საჯაროდ ხელმისაწვდომია;</li> <li>შექმნილია ჟესტების ენის სახელმძღვანელო და გავრცელებულია შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მეშვეობით;</li> <li>შემუშავებულია და დამტკიცებულია ტრენინგმოდული;</li> <li>იუსტიციის სახლის 50 თანამშრომელი დატრენინგებულია ტრენინგთა ტრენინგის მეშვეობით, 750 – ტრენინგების და 20 – ჟესტების ენის ტრენინგების მეშვეობით;</li> <li>ტრენინგის მონაწილეთა 80% გამოხატავს გაუმჯობესებულ ცოდნას, რაც დასტურდება პრე და პოსტ ტესტების შედეგებით;</li> </ul>			



	<ul style="list-style-type: none"> <li>- ტრენინგის მონაწილეთა მინიმუმ 80% პოზიტიურად აფასებს ტრენინგს</li> <li>- ცნობიერების ამაღლების მიზნით დამზადებული მასალები შემუშავებული და გავრცელებულია.</li> </ul>
<b>რისკები და ვარაუდები</b>	შესაბამისი სფეროს ექსპერტების სიმცირე

**ვალდებულება 2: მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა**

იუსტიციის სახლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში. იგი წელიწადში 6 მილიონამდე მომხმარებელს 430-მდე საჯარო სერვისს აწვდის. შესაბამისად, მისი სამუშაო პროცესი უშუალო და პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე.

OGP-ის ფარგლებში, იუსტიციის სახლი გეგმავს დანერგოს საქართველოს რეალობაში სრულიად ახალი, მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა.

პლატფორმის კონცეფცია ეფუძნება ანგარიშვალდებულების, ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და გულისხმობს სამი განსხვავებული მოდულის საშუალებით, ფართო საზოგადოების ჩართულობას ახალი სერვისების დანერგვის, არსებული სერვისების დახვეწის, სერვისების მიწოდების ახალი არხების შექმნისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი მოდულების საშუალებით:

- საზოგადოებრივი აზრის ელექტრონული კვლევა** – იუსტიციის სახლში ახალი პროექტების განხორციელების პროცესი დაეფუძნება ელექტრონული გამოკითხვების შედეგებს. მომხმარებლები თავად აირჩევენ ახალ სერვისებს და მათი იუსტიციის სახლში დანერგვის რიგითობას. გამოკითხვები გამოყენებული იქნება აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი პროექტების დაგეგმვისათვის.
- ხმის მიცემის ელექტრონული სისტემა** – იუსტიციის სახლის მომხმარებლები შეძლებენ შეაფასონ უკუკავშირის სხვადასხვა არხებისა და კვლევების შედეგად მიღებული ინიციატივები და ხმა მისცენ ყველაზე პრიორიტეტულს. მომხმარებელს საშუალება ექნება თავად გაუწიოს ლობირება ამა თუ იმ ინიციატივას და იმუშაოს ხმის მიცემის პროცესით საზოგადოების დაინტერესებაზე, ვინაიდან პრიორიტეტულად ჩაითვლება სწორედ ის ინიციატივა, რომელიც დააგროვებს ხმათა უმრავლესობას;
- უკუკავშირის ელექტრონული სისტემა** – ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით უკუკავშირის დაფიქსირებას მომხმარებელი სახლიდან გაუსვლელად შეძლებს. უკუკავშირი შევსებისთანავე აისახება შესაბამის პროგრამაში და იუსტიციის სახლი შეძლებს დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება აღნიშნულზე. ელექტრონული სისტემის გამოყენებით უკუკავშირზე რეაგირების არსებული, 1-თვიანი პერიოდი შემცირდება 24 საათამდე.
- ანგარიშგების ელექტრონული სისტემა** – პროცესების ღიაობა და გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური ელექტრონული ანგარიშგების სისტემით, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს გააცნობს აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარე ნებისმიერ პროცესთან დაკავშირებით ამომწურავ ინფორმაციას.

პროექტის ფარგლებში დაინერგება შემდეგი კომუნიკაციის არხები:

- მობილური აპლიკაცია** – იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში თითოეული ოპერატორის სამუშაო მაგიდასთან განთავსდება QR კოდები, რომლის წაკითხვაც შესაძლებელი იქნება მობილური აპლიკაციით. შეფასების დასრულებისთანავე მომხმარებელს გამოუჩნდება ელექტრონული კითხვარი ან ხმის მიცემის ფუნქციონალი, რომელშიც სურვილის შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას.
- ვებგვერდის აპლიკაცია** – მომხმარებელს სახლიდან გაუსვლელად შესაძლებლობა მიეცემა გამოიყენოს იუსტიციის სახლის პლატფორმა, რომელიც ინტეგრირებული იქნება იუსტიციის სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე.
- სენსორული მონიტორები** – იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში განთავსდება სენსორული მონიტორები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ვებპლატფორმის გამოყენება. სენსორული მონიტორების გამოყენებას დაუბრკოლებლად შეძლებენ შშმ პირები: პროგრამული უზრუნველყოფა ადჭურვილი იქნება ხმოვანი ფუნქციით, აგრეთვე, გამოყენებული აპარატურა ადაპტირებული იქნება უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის. ამასთან, სენსორულ მონიტორებში არსებული პროგრამა მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს დატოვოს ხმოვანი შეტყობინება.

<b>ვალდებულება 2: მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა</b>				
<b>წამყვანი დაწესებულება</b>		სსიპ – იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		
<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი პარტნიორი სსიპ-ები		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია			
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ამ ეტაპზე არ არსებობს ელექტრონული გამოკითხვების/ხმის მიცემის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობა;</li> <li>- რეგიონებში არსებული იუსტიციის სახლებიდან მომხმარებლის უკუკავშირის მიღებისათვის საჭიროა საშუალოდ 1 თვე;</li> <li>- არსებული უკუკავშირის სისტემა არ არის ადაპტირებული შშმ პირების საჭიროებებთან;</li> <li>- არაფექტიანი უკუკავშირის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთა ფართო ჯგუფების ჩართულობას იუსტიციის სახლის მიერ დაგეგმილი ცვლილებების პროცესში</li> </ul>			
<b>მთავარი მიზანი</b>	მარტივი, ეფექტიანი და მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნეს ფართო საზოგადოების ჩართულობა სერვისების განვითარებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.			
<b>OGP ღირებულება</b>	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
	✓	✓	✓	✓

განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება ვებგვერდის და მობილური აპლიკაციისათვის	ახალი	სექტემბერი, 2018	თებერვალი, 2019
სენსორული მონიტორებისა და საჭირო ტექნიკის შესყიდვა, პროექტის დაწყება	ახალი	ნოემბერი, 2018	მარტი, 2019
საზოგადოების ინფორმირება პლატფორმის შესახებ	ახალი	მარტი, 2019	ივნისი, 2019
გამოკითხვის/ხმის მიცემის პროცესის ადმინისტრირება, ფოკუსჯგუფების ორგანიზება, ანგარიშგება	ახალი	აპრილი, 2019	აგვისტო, 2019
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>აპლიკაციების 100%-ზე რეაგირება განხორციელებულია არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში;</li> <li>აპლიკაციების ავტორისათვის ხელმისაწვდომია განხილვის შედეგები ონლაინ რესურსების გამოყენებით;</li> <li>პლატფორმის შესახებ იუსტიციის სახლის მომხმარებელთა შორის ცნობადობის დონე შეადგენს არანაკლებ 60%-ს;</li> <li>პროექტის დაწყებიდან 6 თვეში ყოველთვიურად მიღებული უკუკავშირის რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 500-ს;</li> <li>ჩატარებულია არანაკლებ 3 გამოკითხვა/ხმის მიცემა და არანაკლებ 3 ფოკუსჯგუფი, რომელშიც მონაწილეთა ჯამური რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 5 000 მომხმარებელს;</li> <li>პლატფორმის გამოყენებით მიღებული მონაცემები, ასევე, განხორციელებული პროექტების შესახებ ანგარიშები გამოქვეყნებულია პროაქტიულად.</li> </ul>		

**ვალდებულება 3: სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვის გზით**

სახელმწიფო ელექტრონული მომსახურება მნიშვნელოვნად განსხვავდება „კლასიკური“ ონლაინ მომსახურებისგან. ელექტრონული ფოსტის სისტემას, სოციალურ ქსელს, ბლოგების სისტემას და ა.შ., საქმიანობის წარმართვისათვის არ სჭირდება იცოდეს ფიზიკურად ვინ დგას ამა თუ იმ მომხმარებლის უკან. მათთვის საკმარისია იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებლის სახელით სხვამ ვერ ისარგებლოს. სახელმწიფო ელექტრონული მომსახურებებისთვის კი ეს საკმარისი არ არის, მათ სჭირდებათ მომხმარებლის ფიზიკური ვინაობის ცოდნაც. ამჟამად საქართველოში არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც მეტნაკლები სიზუსტით იძლევა ონლაინ სივრცეში პირის ფიზიკური ვინაობის დადგენის საშუალებას. ამგვარი მექანიზმები, მხოლოდ განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე სახელმწიფო დაწესებულებების ხელშია და მათი გაზიარება ვერ ხდება სხვა დაწესებულებებისათვის. შედეგად, სახელმწიფო სტრუქტურებში დაცული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს ელექტრონულად ხელმისაწვდომი არ არის მოქალაქეთათვის.

ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის მიზანია, წებისმიერ სახელმწიფო (და პერსპექტივაში კერძო) დაწესებულებას მისცეს ონლაინ სივრცეში პიროვნების იდენტიფიკაციის ინსტრუმენტების ფართო არჩევანი და ამ გზით მოუხსნას მათი მომსახურებების გაციფრდობის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაღობა. ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის მართვას განხორციელებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომელიც საქართველოში სამოქალაქო რეესტრის მწარმოებელი ორგანოა და გააჩნია კომპეტენცია პირის ვინაობის უტყუარი დადგენისათვის. ამ შემთხვევაში სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს შეეძლება აქცენტი მხოლოდ საკუთარი მონაცემთა ბაზების სისრულესა და მათში დაცული ინფორმაციის ონლაინ ხელმისაწვდომობაზე გადაიტანონ. ასე ისინი დიდ რესურსსაც დაზოგავენ.

სახელმწიფო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებში დაცულ ინფორმაციას, არაუფლებამოსილი პირებისთვის გამჟღავნების თავიდან აცილებას სხვადასხვაგვარი კრიტიკულობა გააჩნია. ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემა სახელმწიფო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, თავად განსაზღვრონ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის კრიტიკულობის დონე და ამის მიხედვით შეუსაბამონ მას პიროვნების იდენტიფიკაციის პროცესის სირთულე. ამ გზით ნაკლებად კრიტიკული ინფორმაციის სანახავად მომხმარებელს არ მოუწევს შეაერთოს ბარათის წამკითხველი, აკრიფოს PIN კოდი.

ვალდებულება 3: ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემა	
<b>წამყვანი დაწესებულება</b>	სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია

<p><b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b></p>	<p>დღეისათვის სახელმწიფო სერვისების ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომობის მიზნით თითოეულ სახელმწიფო უწყებას განვითარებული აქვს საკუთარი ვებ-პორტალი, სადაც მომხმარებლები ავთენტიფიკაციის მიზნით ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ საშუალება ისარგებლონ ამა თუ იმ მომსახურებით. აღნიშნულის გამო:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მოქალაქეებს ყველა განსხვავებული სისტემისთვის სჭირდებათ ცალკე რეგისტრაცია, სხვადასხვა სახელით და პაროლით;</li> <li>- ხშირად ასეთი რეგისტრაცია საჭიროებს ადგილზე მისვლას, ვიდეოჩარს და სხვა;</li> <li>- თავად ორგანიზაციებს საკუთარი მომსახურების გაციფრულებაზე მუშაობისას უწევთ ავთენტიფიკაციის ნაწილზე დამოუკიდებლად მუშაობა;</li> <li>- აღნიშნული მოქალაქეთა და ორგანიზაციების არასათანადო რესურსის ხარჯვას იწვევს.</li> </ul> <p>ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემა უზრუნველყოფს სანდო და დაცული ონლაინ ავთენტიფიკაციის არსებობას ქვეყანაში, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ინფორმაციის ღიაობასა და მათზე წვდომის სიმარტივეს, ვინაიდან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ყველა ჩართულ სისტემაში (იქნება ეს კერძო თუ საჯარო ორგანიზაცია) მომხმარებელს დასჭირდება ერთი და იგივე მომხმარებლის სახელი და პაროლი ან ID ბარათი და პინ კოდი (მომავალში Mobile ID-იც).</li> <li>- ორგანიზაციებს გაუმარტივდებათ საკუთარი მომსახურების გაციფროვნება</li> </ul>			
<p><b>მთავარი მიზანი</b></p>	<p>ქვეყანაში ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის განვითარება</p>			
<p><b>OGP ღირებულება</b></p>	<p>გამჭვირვალობა</p>	<p>ანგარიშვალდებულება</p>	<p>სამოქალაქო ჩართულობა</p>	<p>ტექნოლოგია და ინოვაცია</p>
<p><b>განხორციელების ეტაპები</b></p>	<p>ახალი ან არსებული ვალდებულება</p>	<p>დაწყების თარიღი:</p>	<p>დასრულების თარიღი:</p>	
<p>ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის საწარმოო რეჟიმში გაშვება და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს sharepoint ან არასაჯარო გამოყენების სხვა სისტემასთან ინტეგრაცია</p>	<p>ახალი</p>	<p>ივნისი, 2018</p>	<p>დეკემბერი, 2018</p>	
<p>ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის ინტეგრაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციურ სერვისებში</p>	<p>ახალი</p>	<p>ივლისი, 2018</p>	<p>დეკემბერი, 2018</p>	
<p>ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის სხვა უწყებებისთვის მისაწოდებლად საკანონმდებლო ცვლილებების მოზადება და ინიცირება</p>	<p>ახალი</p>	<p>ივლისი, 2018</p>	<p>ივნისი, 2019</p>	
<p>ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის ინტეგრირება სხვა ორგანიზაციების სისტემებში</p>	<p>ახალი</p>	<p>დეკემბერი, 2018</p>	<p>დეკემბერი, 2019</p>	
<p><b>ინდიკატორი</b></p>	<p>ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემა ინტეგრირებულია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. 2019 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე სულ მცირე 1 ორგანიზაციის (გარდა თავად სააგენტოსი) სისტემაში</li> <li>2. 2019 წლის ბოლომდე სულ მცირე 10 ორგანიზაციის სისტემაში</li> </ol>			
<p><b>რისკები და ვარაუდები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცების გაჭიანურება</li> <li>- სისტემაში ჩასართავი ორგანიზაციების მხრიდან რესურსების ან/და მზაობის ნაკლებობა</li> </ul>			

**ვალდებულება 4: ეკონომიკური მმართველობის ინოვაციური პლატფორმა**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იღებს ვალდებულებას შექმნას ინტერაქტიული პორტალი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოების და კერძო სექტორის მაქსიმალური ჩართულობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება, პროცესების გამჭვირვალობა და ბიზნეს გარემოს პროგნოზირებადობის ზრდა.

**საიტზე განთავსდება:**

- თითოეული ეკონომიკური რეფორმის მოკლე აღწერა, საჭიროების დასაბუთება და საერთაშორისო გამოცდილება;
- კანონის პროექტები;
- რეფორმების მიმდინარეობის პროცესი და შესრულებული სამუშაოები;
- შესავსები კითხვარი რეფორმის შესახებ აზრის დასაფიქსირებლად.



**მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა:**

- დააფიქსიროს შეხედულება სხვადასხვა რეფორმის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით.
- წარადგინოს ინიციატივა, რომელზეც ფართო საზოგადოება ხმის მიცემით შეძლებს მხარდაჭერის გამოხატვას; საკითხი საკმარისი რაოდენობის მხარდამჭერების მოპოვების შემთხვევაში განიხილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის მიერ.

<b>ვალდებულება 4: ეკონომიკური მმართველობის ინოვაციური პლატფორმა – ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველსაყოფად</b>				
<b>წამყვანი დაწესებულება</b>		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია			
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>		ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას, სხვადასხვა ეტაპზე ხდება დანტერესებული მხარეებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართვა კონსულტაციების, შეფასებებისა და რეფორმების მოქალაქეების საჭიროებებზე მორგების უზრუნველსაყოფად. თუმცა, აღნიშნული არ არის რეგულარული პროცესი და უფრო მეტად ფრაგმენტული ხასიათი აქვს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიზანია გაიზარდოს ფართო საზოგადოების ჩართულობა რეფორმების ინიცირების, დამუშავებისა და განხორციელების პროცესში.		
<b>მთავარი მიზანი</b>		გაიზარდოს საზოგადოების ჩართულობა ეკონომიკური რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში		
<b>OGP ღირებულება</b>	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდე ბულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
	✓	✓	✓	✓
<b>განხორციელების ეტაპები</b>		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
ინტერაქტიული ვებ პორტალი YOU. GOV შინაარსობრივი სრულყოფა		ახალი	მაისი, 2018	დეკემბერი, 2018
ინტერაქტიული ვებ პორტალი YOU. GOV პლატფორმის პოპულარიზაცია		ახალი	ნოემბერი, 2018	ივნისი, 2019
<b>ინდიკატორი</b>		პორტალი გაშვებულია ყველა ფუნქციით; ვებპორტალს ჰყავს მინიმუმ 500 ვიზიტორი თვიურად		
<b>რისკები და ვარაუდები</b>		პორტალის განახლება არ მოხდეს პერიოდულად და მუდმივად; დაფიქსირებულ მოსაზრებებზე, გამოგზავნილ ინიციატივებზე არ მოხდეს დროული რეაგირება		

**ვალდებულება 5: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება**

ღია მმართველობის პარტნიორობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით (ვალდებულება №16) გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 1 ივნისს მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. კოდექსი ახლებურად არეგულირებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობების განხორციელების შესახებ კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. გარდა ამისა, კოდექსმა შემოიტანა კომპეტენტურ ორგანოთა მიერ სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებიც, რომლებიც აბსოლუტურად ახალია საქართველოსთვის. ეს ინსტრუმენტები საქართველოში ეტაპობრივად ამოქმედდება.

ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი გადაწყვეტილებების მიღების ახალ წესებს აყალიბებს, სამინისტროს მიზანია შეცვალოს მიდგომები და პრაქტიკა და მოემზოს ტექნიკური ინსტრუმენტი ახალი მოთხოვნების სრულფასოვნად დასაწერად. შესაბამისად, წინამდებარე გეგმის ფარგლებში, მთავრობის მიზანია დაწეროს ისეთი ტექნიკური ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციაზე დროულ და დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას და გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას.

<b>ვალდებულება 5: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება</b>				
<b>წამყვანი დაწესებულება</b>		სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		
<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია			
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>		საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 1 ივნისს მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. კოდექსი ახლებურად არეგულირებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობების განხორციელების შესახებ კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. გარდა ამისა, კოდექსმა შემოიტანა კომპეტენტურ ორგანოთა მიერ სხვადასხვა სახის		

	გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებიც, რომლებიც აბსოლუტურად ახალი საქართველოსთვის. საჭიროა მიდგომებისა და პრაქტიკის შეცვლან რათა ახალი რეგულაციები ეფექტურად დაინერგოს.			
<b>მთავარი მიზანი</b>	გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა			
<b>OGP ღირებულება</b>	<b>გამჭვირვალობა</b>	<b>ანგარიშვალდებულება</b>	<b>სამოქალაქო ჩართულობა</b>	<b>ტექნოლოგია და ინოვაცია</b>
	✓	✓	✓	✓
<b>განხორციელების ეტაპები</b>	<b>ახალი ან არსებული ვალდებულება</b>	<b>დაწყების თარიღი:</b>	<b>დასრულების თარიღი:</b>	
ახალი პორტალის შექმნის ან არსებული პორტალის გამოყენების შესაძლებლობების გამოვლენა	ახალი	ოქტომბერი, 2018	სექტემბერი, 2019	
განსათავსებელი ინფორმაციის და ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა; პორტალის სტრუქტურის შემუშავება	ახალი	ოქტომბერი, 2018	იანვარი, 2019	
პორტალის ამუშავება, ფუნქციური დატვირთვა	ახალი	იანვარი, 2019	ივნისი, 2019	
პორტალის ამოქმედებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ეტაპობრივი განთავსება	ახალი	ივნისი, 2019	სექტემბერი, 2019	
<b>ინდიკატორი</b>	პორტალი ამოქმედებულია და მასზე განთავსებულია შესაბამისი ინფორმაცია; ინფორმაციის განახლება ხდება დროულად.			
<b>რისკები და ვარაუდები</b>	პორტალის შექმნისა და ამოქმედებისთვის საჭირო დონორული დახმარების მოძიება; ტექნიკური და პროგრამული საკითხების გათვალისწინებით აქტივობის განხორციელების ვადების ცვლილება.			

**გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება**

**ვალდებულება 6: არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება**

საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ მომზადებული კორუფციის აღქმის ინდექსის თანახმად, 2017 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის საქართველო 46-ე პოზიციას იკავებს. World Justice Report-ის კანონის უზენაესობის ინდექსის (2017-2018) მიხედვით კი საქართველოს პირველი ადგილი უკავია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ხოლო მსოფლიოში 38-ე ადგილზეა 113 ქვეყანას შორის. საქართველოს მთავრობის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური ნება გამოხატულია ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე აღებული ვალდებულებებით, ახალი სტრატეგიული დოკუმენტებითა და თითოეული სახელმწიფო უწყების მიზანმიმართული ანტიკორუფციული პოლიტიკით.

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი რეფორმა ან დროში შეზღუდული პროცესი. კორუფციის პრევენცია საჭიროებს მუდმივ და განგრძობად ძალისხმევას კეთილსინდისიერი და ანგარიშვალდებულებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო ფუნქციონირებს ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპების საფუძველზე: კომპლექსურობა, კორუფციის შემცირებასა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა, კანონის უზენაესობის დაცვა, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაცია, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა, ანგარიშგება და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება, პროცესის გამჭვირვალობა და სხვ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საკვანძო სტრუქტურებს აგრეთვე მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეული – ანტიკორუფციული სააგენტო წარმოადგენენ. პირველი პასუხისმგებელია განსაკუთრებული მნიშვნელობის კორუფციული დანაშაულების გამოძიებასა და დევნაზე, ხოლო უკანასკნელი – საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა მიერ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაზე, გამოვლენასა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებაზე.

<b>ვალდებულება 6: არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება</b>	
<b>წამყვანი დაწესებულება</b>	საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია
	საჯარო სამსახურის ბიურო ევროპის საბჭოს პროექტი, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

<p><b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b></p>	<p>ბოლო წლებში ანტიკორუფციული საბჭოს ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია მუდმივად გააუმჯობესოს კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმები. ამასთან, საერთაშორისო რეკომენდაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მოსაზრებით, საჭიროა ანტიკორუფციული საბჭოსა და სხვა ანტიკორუფციული ორგანიზაციების შემდგომი გაძლიერება. წინამდებარე გეგმით საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას, გამოავლინოს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებები, შესაბამის შეფასებასა და ანალიზზე დაყრდნობით, გააძლიეროს ძირითადი ანტიკორუფციული ორგანოები.</p> <p>აღნიშნულით, მთავრობის მიზანია მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კორუფციის ყველა ფორმის, მათ შორის კომპლექსური ფორმის კორუფცია. ამ პროცესში საქართველოს მთავრობა შესაბამის კონსულტაციებს გამართავს სამოქალაქო სექტორთან.</p>			
<p><b>მთავარი მიზანი</b></p>	<p>კორუფციის წინამდებარე ბრძოლის კუთხით ძირითად ანტიკორუფციული ორგანიზაციებში ანტიკორუფციული დანაყოფების კორუფციული რისკების შეფასების ანალიზის ჩატარების საფუძველზე მათი ინსტიტუციური გაძლიერება და ანტიკორუფციული საბჭოს ანგარიშვალდებულების გაზრდა.</p>			
<p><b>OGP ღირებულება</b></p>	<p>გამჭვირვალობა</p>	<p>ანგარიშვალდებულება</p>	<p>სამოქალაქო ჩართულობა</p>	<p>ტექნოლოგია და ინოვაცია</p>
<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p></p>
<p><b>განხორციელების ეტაპები</b></p>	<p>ახალი ან არსებული ვალდებულება</p>	<p>დაწყების თარიღი:</p>	<p>დასრულების თარიღი:</p>	
<p>ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ ანტიკორუფციული საბჭოსა და ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრებთან თანამშრომლობით კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება</p>	<p>ახალი</p>	<p>ოქტომბერი, 2018</p>	<p>მარტი, 2019</p>	
<p>კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად კორუფციული რისკების შეფასების განხორციელება ანტიკორუფციულ დანაყოფებში (კორუფციული რისკების შეფასების მიმდინარეობის შესახებ ფორუმის ინფორმირება და ფორუმზე განხილვა)</p>	<p>ახალი</p>	<p>მარტი, 2019</p>	<p>სექტემბერი, 2019</p>	
<p>ანტიკორუფციული საბჭოს ანგარიშგების გაძლიერება (ანტიკორუფციული საბჭო ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს)</p>	<p>ახალი</p>	<p>აპრილი, 2019</p>	<p>დეკემბერი, 2019</p>	
<p>კორუფციული რისკების შეფასების შედეგებისა და საჭიროების მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველოს გაძლიერება</p>	<p>ახალი</p>	<p>სექტემბერი, 2019</p>	<p>დეკემბერი, 2019</p>	
<p>კორუფციული დანაშაულების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე მომუშავე პირების პერიოდული ტრენინგები სპეციალიზაციის მიმართულებით, მათ შორის იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულებისა და საერთაშორისო კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე</p>	<p>ახალი</p>	<p>იანვარი, 2019</p>	<p>ნოემბერი, 2019</p>	
<p><b>ინდიკატორი</b></p>	<p>კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგია მომზადებულია. კორუფციული რისკების შეფასება განხორციელებულია დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით და კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამის პრაქტიკოსთა სპეციალიზაცია გაუმჯობესებულია.</p>			

**ვალდებულება 7: საზოგადოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პარტნიორ უწყებებთან ერთად 2018 წელს შეიმუშავეს და დანერგავს ახალ ელექტრონულ სისტემას (SDG Tracker), რომლის მიზანი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (Sustainable Development Goals – SDGs) მონიტორინგის ეფექტიანად და გამჭვირვალედ განხორციელება იქნება. აღნიშნული სისტემის საშუალებით ნებისმიერი დაინტერესებული მხარე შეძლებს ონლაინ რეჟიმში მოიძიოს ინფორმაცია კონკრეტული მიზნების შესაბამისად მიღწეული პროგრესის შესახებ.

SDG Tracker უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო უწყებების მიერ SDG მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შესახებ უახლესი ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრას და მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომობას.

ვალდებულება 7: SDGs Tracker				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP); ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)		
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>		გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოს მთავრობის შიდა რეფორმების განუყოფელი ნაწილია. მიზნების ნაციონალიზაციისა და დანერგვის პროცესი 2015 წლიდან, ხოლო უშუალოდ განხორციელების ფაზა 2018 წლიდან დაიწყო. აღნიშნულ პროცესში ჩართულია 11 სამინისტრო და სხვა მრავალი სახელმწიფო ორგანიზაცია. მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნებისათვის აუცილებელია საერთო ელექტრონული პლატფორმის შექმნა, რომელიც გაამარტივებს უწყებათშორის კოორდინაციას და გამჭვირვალეს გახდის ქვეყანაში მიზნების შესრულების პროცესსა და შედეგებს. სისტემა გაეროს მიზნებსა და ამოცანებს დააკავშირებს ქვეყნის შიდა პოლიტიკის დოკუმენტებთან და მოგვცემს ინფორმაციას ამა თუ იმ მიმართულებით არსებული სახელმწიფო ფინანსურ რესურსებზე. ეს კი საშუალებას მისცემს მოქალაქეებს და დაინტერესებულ პირებს გაეცნონ მთავრობის მისწრაფებებს მომდევნო წლებისთვის, ნახონ დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებები და შეაფასონ პროგრესი.		
<b>მთავარი მიზანი</b>		გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების კვალდაკვალ სამთავრობო პოლიტიკის განხორციელების შეფასება და ეფექტური მართვა		
<b>OGP ღირებულება</b>		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულ ება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
<b>განხორციელების ეტაპები</b>		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
შიდა ელექტრონული სისტემის (შიდა საოპერაციო სისტემა ხელმისაწვდომია მხოლოდ სახელმწიფო უწყებებისთვის) ამოქმედება		ახალი	სექტემბერი, 2018	დეკემბერი, 2018
მდგრადი განვითარების მიზნების ვებგვერდის, მათ შორის SDGs Tracker-ისა და სხვა კომპონენტების ამოქმედება/ფუნქციონალის გამართვა, სადაც გენერირდება შიდა სისტემის მონაცემები		ახალი	ოქტომბერი, 2018	დეკემბერი, 2018
SDGs Tracker-ის, როგორც მთავრობის პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობის პოპულარიზაცია		ახალი	თებერვალი, 2019	დეკემბერი, 2019
SDG Tracker ვებგვერდის საინფორმაციო ნაწილის ამოქმედება – ქვეყნის მასშტაბით მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ყველა პროექტის, მიმდინარე თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ კალენდრის/ინფორმაციის განთავსება		ახალი	თებერვალი, 2019	დეკემბერი, 2019
<b>ინდიკატორი</b>		მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა შემუშავებული და დანერგულია; ფუნქციონირებს სისტემის ვებგვერდი (SDGs Tracker)		



**ვალდებულება 8: საკანონმდებლო აქტების შემუშავება მოქალაქეთა ჩართულობითა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე**

ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, დაიწყო საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის (Regulatory Impact Assessment – RIA) შემუშავება.

ეს სისტემა ემსახურება მტკიცებულებებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ჩამოყალიბებას და გულისხმობს ex-ante შეფასების საფუძველზე სიტუაციური ანალიზის ჩატარებას. ex ante შეფასების საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული საკანონმდებლო აქტების შემუშავება და დაგეგმვა.

მთავრობის მიზანია, მიმდინარე გეგმით აიღოს ვალდებულება რათა RIA-ს ანგარიშის მომზადება გახდეს სავალდებულო შესაბამისი საკანონმდებლო აქტით დადგენილ შემთხვევებში. მნიშვნელოვანია, რომ Ex ante შეფასების განუყოფელი ნაწილია კონსულტაცია როგორც სფეროს ექსპერტებთან, ასევე ფართო საზოგადოებასთან. ამ გზით მთავრობა მუდმივად უზრუნველყოფს კანონპროექტების თუ სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებისას მოქალაქეთა მონაწილეობას და შესაბამისად, მათ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ვალდებულება 8: საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფო სტრუქტურები საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავების დროს არ იყენებენ სიტუაციური ანალიზის მეთოდს. აღნიშნული უზრუნველყოფს პრობლემისა და შესაბამისი მიზნების/ამოცანების სწორად განსაზღვრას, რაც საბოლოო ჯამში, ამა თუ საკანონმდებლო ცვლილების მოსალოდნელი გავლენების (ეკონომიკური, სოციალური და სხვ.) ზუსტ გათვლას უწყობს ხელს.		
მთავარი მიზანი		საკანონმდებლო ინიციატივების სიტუაციური ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა, შეფასება და ეფექტური მართვა		
OGP ღირებულება	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
	✓	✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით კანონპროექტის შემუშავება		ახალი	თებერვალი, 2019	სექტემბერი, 2019
საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიანი ჩარჩოს და მეთოდოლოგიის შემუშავება		ახალი	ოქტომბერი, 2019	დეკემბერი, 2019
ინდიკატორი		- საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ კანონპროექტი საქართველოს მთავრობისთვის განსახილველად წარდგენილია; - საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიანი ჩარჩო და მეთოდოლოგია შემუშავებულია.		

**ვალდებულება 9: სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა**

სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ემსახურება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. აღნიშნულზე მუშაობა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიწყო.

დღეს საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებებს საკუთარ ვებგვერდზე საქართველოს უზენაესი სასამართლო აქვეყნებს. რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, მათთვის შექმნილია სპეციალური ვებგვერდი (<http://info.court.ge>) რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მომავალში სასამართლო გადაწყვეტილებათა (პირველი და მეორე ინსტანციები, ასევე უზენაესი სასამართლო) ერთიანი რეესტრის ფუნქცია უნდა იტვირთოს.

ერთიანი პლატფორმის შექმნა მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია მასზე განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. ამ მხრივ, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია ახლადშექმნილ რეესტრზე დამატებითი ფუნქციების დაწერვა. პირველ რიგში, ესენია პროცესში მონაწილე მხარეთა შესახებ ინფორმაციის განთავსება და საქმისწარმოების პროცესთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.

წინამდებარე ვალდებულებით, შეიქმნება გაერთიანებული სისტემა, რომელსაც ექნება შემდეგი მოდულები:

- სასამართლოს დაშტრიხული გადაწყვეტილებების და საბოლოო დოკუმენტების ძებნის მოდული;
- საჯარო შეტყობინებების გამოქვეყნებისა და მოძიების მოდული;
- სასამართლოში საქმის შემომტანის ვებსივრცე;
- ჩანიშნული სხდომების საძიებო მოდული.



ვალდებულება 9: სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს უზენაესი სასამართლო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საერთო სასამართლოები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეს საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებებს საკუთარ ვებგვერდზე საქართველოს უზენაესი სასამართლო აქვეყნებს. რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, მათთვის შექმნილია სპეციალური ვებგვერდი ( <a href="http://info.court.ge">http://info.court.ge</a> ), რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მომავალში სასამართლო გადაწყვეტილებათა (პირველი და მეორე ინსტანციები, ასევე უზენაესი სასამართლო) ერთიანი რეესტრის ფუნქცია უნდა იტვირთოს. ერთიანი პლატფორმის შექმნა მნიშვნელოვანია, თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მასზე განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. ამ მხრივ, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია აღნიშნულ რეესტრზე დამატებითი ფუნქციების დანერგვა. პირველ რიგში, ესენია პროცესში მონაწილე მხარეთა შესახებ ინფორმაციის განთავსება და საქმისწარმოების პროცესთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.		
მთავარი მიზანი		სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიული ხელმისაწვდომობა გამჭვირვალე სასამართლო სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და წინაპირობაა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებათა და სამართალწარმოების პროცესის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტის არსებობა.		
OGP ღირებულება		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზისთვის საძიებო სისტემის ტექნიკური დავალების შემუშავება		არსებული	ივლისი, 2018	დეკემბერი, 2018
ერთიანი ბაზის საძიებო სისტემის შექმნა და დანერგვა		არსებული	დეკემბერი, 2018	სექტემბერი, 2019
სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება		არსებული	სექტემბერი, 2019	დეკემბერი, 2019
(1) საჯარო შეტყობინებების (2) სასამართლოში საქმის შემომტანის ვებსივრცის და (3) ჩანიშნული სხდომების საძიებო მოდულის ამოქმედება		არსებული	სექტემბერი, 2019	დეკემბერი, 2019
ინდიკატორი		<ul style="list-style-type: none"> <li>სასამართლოს დაშტრიბული გადაწყვეტილებების და საბოლოო დოკუმენტების ძებნის საძიებო მოდული ამოქმედებულია;</li> <li>საჯარო შეტყობინებების გამოქვეყნების მოდული ამოქმედებულია;</li> <li>სასამართლოში საქმის შემომტანის ვებსივრცე ხელმისაწვდომია;</li> <li>ჩანიშნული სხდომების საძიებო მოდული ფუნქციონირებს.</li> </ul>		

**ვალდებულება 10: შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა**

შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს) აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს, რომლის ძირითად ფუნქციებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა განეკუთვნება. იმისათვის, რომ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაიზარდოს ნდობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი, ფორუმის წევრი არასამთავრობოების რეკომენდაციის შესაბამისად, შსს იღებს ვალდებულებას გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად.

ვალდებულება 10: შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		(1) ბოლო წლებში შსს აქტიურად მუშაობს, რათა გააუმჯობესოს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა: <ul style="list-style-type: none"> <li>2018 წლიდან წარმოებს საჩივრების/განცხადებების სტატისტიკა. აღირიცხება განმცხადებლის მიერ მითითებული სავარაუდო გადაცდომა, გადაცდომის</li> </ul>		

	<p>მოტივი და სხვა პარამეტრები. დისციპლინური წარმოების პროცესში უზრუნველყოფილია სავარაუდო გადაცდომის ჩამდენი პირის/პირების ჩართულობა. გენერალური ინსპექციის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე ჩატარებული დისციპლინური წარმოების შედეგების თაობაზე განმცხადებელს ეცნობება წერილობით, ხოლო ცხელი ხაზის (126) მეშვეობით მიღებული შეტყობინების შემთხვევაში, ინიციატორის ინფორმირება ხდება ტელეფონის მეშვეობით. პრაქტიკაში, გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე, გენერალური ინსპექციის უფროსის მიერ დამტკიცებული დასკვნა არასდროს გაუქმებულა მინისტრის მიერ, ასევე არცერთ შემთხვევაში შეცვლილა რეკომენდირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.</p> <p>დღევანდელი მდგომარეობით, შსს-ს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება არ ეფუძნება სისტემატიზებული პროცედურების ერთობლიობას და იგი კანონქვემდებარე აქტითა და მემორანდუმით არის მოწესრიგებული, რაც რიგ შემთხვევებში ართულებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. თუმცა, ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა და პროცესების გაწერა.</p> <p>(2) შსს-სთვის ასევე უმნიშვნელოვანესია გამჭვირვალედ აწარმოოს საკადრო პოლიტიკა, რათა პოლიციელის სამსახურში მიღების, ასევე მისი დაწინაურების, დისციპლინური პასუხისმგებლისა თუ გათავისუფლების საკითხებში გამოირიცხოს ყოველგვარი ბუნდოვანება.</p>			
<b>მთავარი მიზანი</b>	შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალეობის ხარისხის გაზრდა; საზოგადოებრივი ნდობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა			
<b>OGP პრინციპები</b>	<b>გამჭვირვალობა</b>	<b>ანგარიშვალდებულება</b>	<b>სამოქალაქო ჩართულობა</b>	<b>ტექნოლოგია და ინოვაცია</b>
	✓	✓		
<b>განხორციელების ეტაპები</b>	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცედურების, ვადების და პასუხისმგებელი ორგანოების ნათლად გაწერა ერთიანი კონსოლიდირებული დოკუმენტის შექმნის გზით	ახალი	აგვისტო, 2018	დეკემბერი, 2018	
საჩივარ/განცხადებები, ასევე სამსახურებრივი შემოწმების შედეგების მონაცემების პროაქტიულად გამოქვეყნება	ახალი	იანვარი, 2018	იანვარი 2019	
შსს-ს გენერალური ინსპექციის რეფორმირების ფარგლებში, დისციპლინური წარმოების პროცედურების სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავება <sup>2</sup>	ახალი	სექტემბერი, 2018	სექტემბერი, 2019	
თანამდებობრივი გადაადგილების, წახალისების და გათავისუფლების პროცედურების შესწავლა და საჭიროების მიხედვით, შესაბამის კანონში ცვლილებების შეტანა	ახალი	აგვისტო, 2018	დეკემბერი, 2019	
<b>ინდიკატორი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების შესახებ სახელმძღვანელო შემუშავებულია;</li> <li>- საჩივარ/განცხადებები, ასევე სამსახურებრივი შემოწმების შედეგები პროაქტიულად ქვეყნდება;</li> <li>- დისციპლინური წარმოების პროცედურების სახელმძღვანელო ინსტრუქცია შემუშავებულია;</li> <li>- თანამდებობრივი გადაადგილების, წახალისების და გათავისუფლების პროცედურები შესწავლილია.</li> </ul>			

<sup>2</sup> ექსპერტების დახმარებით, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე გაწერილი ინსტრუქციები, დისციპლინური წარმოების პროცესს გახდის უფრო ნათელს, პროგნოზირებადს და უზრუნველყოფს ყველა ცალკეული სამსახურებრივი შემოწმების ერთიანი, მაღალი სტანდარტით წარმართვას. აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე გაიწერება დისციპლინური წარმოების მხარეების უფლებები.

**ვალდებულება 11: საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა**

ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (სას) შექმნა ინოვაციური ანალიტიკური ვებპლატფორმა – „ბიუჯეტის მონიტორი“, რომლის საშუალებით ფართო საზოგადოებას ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების, აუდიტის მიგნებების, გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, პლატფორმა თითოეულ მოქალაქეს საშუალებას აძლევს მომართოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საჯარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ და მიიღოს მონაწილეობა მომავალი წლის აუდიტის გეგმის შედგენაში.

ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისა და პლატფორმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური იზიარებს OGP-ის დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის (Independent Reporting Mechanism – IRM) რეკომენდაციას და მიზნად ისახავს დაწეროს მოქალაქეებისგან მიღებულ მომართვებზე და შეტყობინებებზე უკუკავშირის მექანიზმი. ამ გზით შესაძლებელი გახდება მათი შემოსულ მომართვებზე და შეტყობინებებზე (მათ შორის, ანონიმურზე) რეაგირების სტატუსის თვალყურის დევნება მუდმივ რეჟიმში. თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს დამატებითი ინსტრუმენტის შექმნას – მოქალაქეების მიერ წარმოდგენილ მომართვებზე მომზადდება აუდიტის შედეგები საზოგადოებისათვის მარტივად აღქმადი ფორმით.

ვალდებულება 11: საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა: მოქალაქეთა ეფექტური უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა				
წამყვანი დაწესებულება		სახელმწიფო აუდიტის სამსახური		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია	სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებით ჩამოყალიბებული საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფი		
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>		ქვეყნისათვის კვლავ გამოწვევად რჩება საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი, რასაც ცხადყოფს 2017 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) შეფასება მოქალაქეთა ჩართულობის კრიტერიუმში (100-დან 22 ქულა). აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც მოქალაქეების მხრიდან უნდობლობის არსებობა, ასევე, მათი ჩართულობისთვის აუცილებელი ეფექტური საშუალებების ნაკლებობა. აღნიშნულის საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს შექმნას მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი მექანიზმი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდება მოქალაქეთა მხრიდან შემოსული საჩივრებისა თუ მოთხოვნების სტატუსის თვალყურის დევნება მუდმივ რეჟიმში. გამჭვირვალე სისტემის დანერგვით გაიზრდება როგორც მოქალაქეების ნდობა სას-ის მიმართ, ასევე, შეიქმნება ეფექტური მექანიზმი მოქალაქეთა მოთხოვნებზე დროული რეაგირებისთვის. სამსახური გეგმავს აღნიშნული მექანიზმის ინტეგრაციას ბიუჯეტის მონიტორში (Budget Monitor), რომელიც OGP-ის ვალდებულებების განგრძობადობის ნათელი მაგალითია.		
<b>მთავარი მიზანი</b>		საჯარო ფინანსების ზედამხედველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მეშვეობით უკეთესი მმართველობის ხელშეწყობა		
<b>OGP ღირებულება</b>		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
<b>განხორციელების ეტაპები</b>		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
ბიუჯეტის მონიტორის მეშვეობით მიღებულ მოქალაქეთა შეტყობინებებზე უკუკავშირის მექანიზმის შექმნა და დანერგვა		ახალი	მაისი, 2018	დეკემბერი, 2018
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ცნობიერების ამაღლების მიზნით, მინიმუმ 5 სამუშაო შეხვედრის ორგანიზება სხვადასხვა ფოკუსჯგუფთან.		არსებული	იანვარი, 2018	დეკემბერი, 2018
<b>ინდიკატორი</b>		მოქალაქეების მიერ წარდგენილ მომართვებზე და შეტყობინებებზე უკუკავშირის მექანიზმი დანერგილია, რომლის მეშვეობით შესაძლებელია მომართვებზე და შეტყობინებებზე (მათ შორის, ანონიმურზე) რეაგირების სტატუსის თვალყურის დევნება მუდმივ რეჟიმში.		

**ვალდებულება 12: სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პარტნიორ უწყებებთან ერთად 2018 წელს დაიწყებს მუშაობას სახელმწიფო/საჯარო ინსტიტუციების მიერ საგრანტო დაფინანსების გაცემის არსებული სისტემის რეფორმირების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული სფეროს გამჭვირვალობა და ეფექტურობა.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა სამინისტროებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტის გაცემის საერთო პრინციპებსა და პროცედურას არ ითვალისწინებს. არ არსებობს საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტი.

წინამდებარე ვალდებულებით სახელმწიფო უწყებებისათვის დადგინდება დაფინანსების სტანდარტები და გაიწერება დეტალური პრინციპები. მთავრობის ადმინისტრაცია პარტნიორ უწყებებთან ერთად მოამზადებს გრანტების შესახებ კანონში ცვლილების პროექტს, რომელსაც განიხილავს დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და საბოლოოდ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს 2019 წლის ბოლომდე.

<b>ვალდებულება 12: სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა</b>			
<b>წამყვანი დაწესებულება</b>		საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	
<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი, ფინანსთა სამინისტრო	
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია	სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>		<p>დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა სამინისტროების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის საერთო პრინციპებსა და პროცედურას არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, სახელმწიფო საგრანტო სისტემაში ჩართული არ არის რიგი საჯარო ინსტიტუციებისა, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობები.</p> <p>წინამდებარე ინიციატივის ერთ-ერთი კომპონენტი გულისხმობს, კანონით დადგინდეს ძირითადი სტანდარტ-პრინციპები (მათ შორის, მიუკერძოებელი და მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღება, შერჩევის კრიტერიუმების წინასწარ დადგენა და გამოქვეყნება, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, პროცესის გამჭვირვალობა და სხვა), რომლებიც საკმარისად მკაფიო იქნება იმისთვის, რომ საგრანტო დაფინანსება სანდო და გამჭვირვალე პროცესად იქცეს. ამასთან, ცალკეულ სახელმწიფო უწყებებს ამ სტანდარტ-პრინციპების შესაბამისად, ექნებათ პროცესის დეტალური მოწესრიგების შესაძლებლობა.</p> <p>ინიციატივა მათ შორის გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გრანტის გაცემის მექანიზმის გამოყენების უფლების მიცემას, რაც ხელს შეუწყობს, რიგ შემთხვევებში, ფუნქციების უკეთ განხორციელებას, ინტერ-მუნიციპალური ინიციატივების წახალისებას, ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართვას და ადგილზე სხვადასხვა ინიციატივების წახალისებას.</p>	
<b>მთავარი მიზანი</b>		სახელმწიფო/საჯარო ინსტიტუციების მიერ საგრანტო დაფინანსების გაცემის არსებული სისტემის რეფორმირება, მისი გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის და ეფექტიანობის გაზრდა.	
<b>OGP ღირებულება</b>		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება
		✓	✓
		სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
		✓	✓
<b>განხორციელების ეტაპები</b>		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:
საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიზნით, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან კონსულტაციების გამართვა		ახალი	დეკემბერი, 2018
გრანტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის მომზადება		ახალი	დეკემბერი, 2018
კანონში ცვლილების პროექტის დაინტერესებული მხარეებისათვის წარდგენა		ახალი	სექტემბერი, 2019
კანონში ცვლილების პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში		ახალი	დეკემბერი, 2019
<b>ინდიკატორი</b>		კანონში ცვლილებების პროექტი	წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის

**ვალდებულება 13: ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (Department of International Development – DFID) მხარდაჭერით, ასევე ღია მონაცემთა პარტნიორობასთან (Open Contracting Partnership – OCP) თანამშრომლობით აქტიურად მუშაობს Open Contracting Data Standard (OCDS) დანერგვაზე. აღსანიშნავია, რომ OCDS გულისხმობს ღია მონაცემთა პუბლიკაციის სტანდარტის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო ინფორმაციისა და ხელშეკრულების შესრულების ყველა ეტაპზე (დაგეგმარებიდან განხორციელებამდე) სტრუქტურირებული ინფორმაციის გამოქვეყნებას. OCDS-ის მიხედვით არსებობს ღია მონაცემთა გამოქვეყნების სტანდარტის 4 (3 ძირითადი და 1 დამატებითი) დონე: 1. საბაზისო; 2. შუალედური; 3. მოწინავე; 4.



დამატებითი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გააჩნია ამბიცია, რომ OCDS-ის სტანდარტების მიხედვით დააკმაყოფილოს მე-3-მე-4 დონის სტანდარტები.

ამ ეტაპზე, დასრულებულია პირველი ეტაპის სამუშაოები OCDS-ის დანერგვის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს, როგორც აგრეგირებული, ასევე ცალკეულ შესყიდვებზე არსებული ინფორმაციის სპეციალურ წაკითხვად (Machine readable) ფორმატში (JSON) სისტემატურ გამოქვეყნებას საგანგებოდ შექმნილ ახალ ვებგვერდზე.

მეორე ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს ღია მონაცემთა პუბლიკაციის სტანდარტის კიდევ უფრო განვრცობას, რაც გულისხმობს სპეციალურ წაკითხვად ფორმატში შემსყიდველი ორგანიზაციების შესყიდვის წლიური გეგმების გამოქვეყნებას, ასევე ავტორიზებული მომხმარებლისათვის ღია მონაცემების ბაზასთან პირდაპირ წვდომის მიზნით პროგრამული ინტერფეისის აპლიკაციისა (API) და ახალი ვიზუალიზაციის ვებგვერდის შექმნას.

ვალდებულება 13: ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის				
<b>წამყვანი დაწესებულება</b>		სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		
<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია			
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>		სახელმწიფო შესყიდვებზე ინფორმაცია ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო მონაცემების შეგროვება არ არის ავტომატიზებული და მოითხოვს მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსსა და მონაცემთა დამუშავების ახალ ინსტრუმენტებს.		
<b>მთავარი მიზანი</b>		გამჭვირვალობის დონის კიდევ უფრო განვითარება და ინფორმაციაზე თავისუფალი და გამარტივებული წვდომა – ეს ინფორმაცია ადვილად გამოყენებადი იქნება ყველა ეკონომიკური ოპერატორისათვის, ასევე დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოებისთვის. აღნიშნული გაამარტივებს ბიზნესის დაგეგმვისა და სახელმწიფო ფინანსების მონიტორინგის პროცესს.		
<b>OGP ღირებულება</b>	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულე ბა	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
	✓	✓	✓	✓
<b>განხორციელების ეტაპები</b>		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
E-Procurement სისტემაში ჩაშენებული სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული წლიური გეგმების მოდულში (e-Plan) არსებული მიმდინარე წლის ინფორმაციის წაკითხვად (machine readable) ფორმატში გადაყვანა და გამოქვეყნება ვებგვერდზე – <a href="http://opendata.spa.ge">opendata.spa.ge</a>		არსებული	დეკემბერი, 2018	იანვარი, 2019
OCDS სტანდარტით შექმნილ ბაზაზე დაფუძნებული ახალი ვიზუალიზაციის ვებგვერდის შექმნა (ახალი ვებგვერდი დაეხმარება მომხმარებლებს მოიძიონ მათთვის სასურველი ინფორმაცია ნებისმიერ კორელაციაში)		ახალი	მარტი, 2018	დეკემბერი, 2018
OCDS სტანდარტზე დაფუძნებულ ბაზაზე წვდომისათვის პროგრამული ინტერფეისის აპლიკაციის (API) შექმნა		ახალი	ივლისი, 2018	დეკემბერი, 2018
E-Procurement სისტემის ელექტრონულ ტენდერებში CPV კოდების მეტად დეტალიზებული (მინიმუმ მეორე დონის) მითითების უზრუნველყოფა		ახალი	მაისი, 2018	დეკემბერი, 2019
OCDS სტანდარტით შექმნილი ბაზის განახლება, 2011 წლიდან ისტორიული მონაცემების სრულად დაფარვა და ახალი, მიმდინარე მონაცემების სისტემატური განახლება		ახალი	იანვარი, 2018	დეკემბერი, 2019 (მიმდინარეობს სისტემატურად)
<b>ინდიკატორი</b>		ელექტრონული ტენდერების მონაცემთა ვიზუალიზაციის ახალი ვებგვერდი და პროგრამული ინტერფეისის აპლიკაცია (API) შექმნილია. მონაცემები ქვეყნდება OCDS სტანდარტის შესაბამისად – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო სრულად აკმაყოფილებს ღია მონაცემთა გამოქვეყნების სტანდარტის მე-3 დონეს.		

**გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა**



**ვალდებულება 14: საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება**

უსახლკარობის პრობლემის მოგვარება, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, სახელმწიფოსგან მოითხოვს როგორც გრძელვადიანი, ასევე დროის მოკლე მონაკვეთში განსახორციელებელი პრიორიტეტების განსაზღვრას. შესაბამისად, მთავრობის მიზანია, ღია მმართველობის ფარგლებში შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია/საბჭო, რომელიც გაანალიზებს არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებს და შეიმუშავებს საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტს და სამოქმედო გეგმას.

<b>ვალდებულება 14: სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზების მიზნით სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება</b>				
<b>წამყვანი დაწესებულება</b>		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		
<b>პარტნიორები</b>	საჯარო დაწესებულება	რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; მუნიციპალიტეტები, საქართველოს პარლამენტი		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია	დონორი ორგანიზაციები		
<b>არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</b>		დღეს ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარობის პრობლემის დაძლევის ერთიანი ხედვა და სტრატეგია, რომელიც საფუძვლად დაედება ადგილობრივად პრობლემის ეტაპობრივ მოგვარებას. ბუნდოვანია საკანონმდებლო რეგულაციები, მათ შორის, უსახლკარობის სტატუსის დადგენის ზუსტი მეთოდოლოგია, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების და ფუნქციების გამიჯვნის ნაწილში. შესაბამისად, აუცილებელია ერთიანი, კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც იქნება დროში განგრძობადი და სისტემურად უზრუნველყოფს ხარვეზების აღმოფხვრას.		
<b>მთავარი მიზანი</b>		საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მთავარი მიზანია, არსებული საჭიროებების იდენტიფიცირების გზით, სახელმწიფომ შეიმუშაოს ხედვა საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის სახით, რაც ეტაპობრივად უპასუხებს უსახლკარობის გამოწვევებს საქართველოში.		
<b>OGP ღირებულება</b>		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა და ინოვაცია
		✓	✓	
<b>განხორციელების ეტაპები</b>		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
უწყებათაშორისი კომისიის/საბჭოს შექმნა		ახალი	იანვარი, 2019	მარტი, 2019
საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობის გზით		ახალი	ივლისი, 2019	დეკემბერი, 2020
საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის დასამტკიცებლად წარდგენა		ახალი	მაისი, 2021	სექტემბერი, 2021
<b>ინდიკატორი</b>		ქვეყანას გააჩნია საცხოვრისის პოლიტიკის და სამოქმედო გეგმა		
<b>რისკები და ვარაუდები</b>		არასაკმარისი ჩართულობა, ფინანსური რესურსი		

**გამოწვევა V: კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება**

**ვალდებულება 15: სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობა და ანგარიშვალდებულება**

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვა/განკარგვა. სახელმწიფოს მიერ საწარმოების მართვის მთავარი მიზანი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაა. აგრეთვე, სახელმწიფო ცდილობს არ იყოს კონკურენტი ბიზნესისთვის, არამედ, ხელი შეუწყოს მის განვითარებას. ქონების ეროვნული სააგენტო სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებთან მიმართებაში აგრძელებს მინიმინიზაციის პოლიტიკას.

ასეთი საწარმოები განსაკუთრებულ საჯარო ინტერესს იწვევს. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევები, მიუთითებენ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების გაუმჭვირვალობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების დამკვიდრების საჭიროებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია არსებობდეს ხელმისაწვდომი ინფორმაცია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების შესახებ. ამასთანავე საწარმოებს ჰქონდეთ ვალდებულება პროაქტიულად გამოაქვეყნონ ანგარიშები რომლებიც მოიცავს არამხოლოდ ფინანსურ, არამედ შინაარსობრივ ნაწილსაც.

საწარმოების ანგარიშვალდებულების და კორპორატიული პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია სააგენტოს მიერ შემუშავდეს კორპორატიული მართვის სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს საწარმოთა მართვის საერთო პრინციპებსა და მიმართულებებს. მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ეფუძნებოდეს ამ სფეროში არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ვალდებულება 15: სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობა და ანგარიშვალდებულება				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია		
ბიუჯეტი/დაფინანსების წყარო		სახელმწიფო	დონორი	
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევები მიუთითებენ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების გაუმჭვირვალობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების დაბალ ხარისხზე. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოები განსაკუთრებული საჯარო ინტერესის მქონე ორგანიზაციებია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ღიაობის და ანგარიშვალდებულების სტანდარტის გაზრდა.		
მთავარი მიზანი		სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა და კორპორაციული მართვის ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბება		
OGP ღირებულება		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	ტექნოლოგია და ინოვაცია
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებისთვის სააგენტოს მიერ განხორციელებული უნიფიცირებული შაბლონის შემუშავება, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია საწარმოს სახელწოდების, საკონტაქტო ინფორმაციის, დაფუძნების, მმართველი რგოლის, კაპიტალის, საქმიანობის სფეროს, სახელმწიფო წილის შესახებ; ამასთან ფორმაში მოცემული იქნება ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ. ინფორმაცია გამოქვეყნდება სააგენტოს ვებ.გვერდზე <a href="http://nasp.gov.ge">nasp.gov.ge</a>			ივნისი, 2018	ოქტომბერი, 2018
სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს პროექტის შემუშავება			სექტემბერი, 2018	დეკემბერი, 2019
ინდიკატორი		სახელმწიფო 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების შესახებ უნიფიცირებული შაბლონის მიხედვით ინფორმაცია გამოქვეყნებულია სააგენტოს ვებ.გვერდზე. შემუშავებულია კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს პროექტი სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისთვის.		
რისკები და ვარაუდები		საწარმოების მიერ ვერ მოხდეს წლიური ფინანსური ანგარიშის დაზუსტება და აუდიტება, ან/და შესაბამის ვადაში წარმოდგენა. პროექტის შემუშავება/დამტკიცება დამოკიდებულია მეწარმეობის შესახებ კანონის მიღებაზე, შესაბამისად კანონის მიღების შეფერხება ხელს შეუშლის სახელმძღვანელოს პროექტის შემუშავებას.		

### მუნიციპალიტეტების ორგანოები

#### ვალდებულება 1: გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტები ყოველწლიურად მნიშვნელოვან საბიუჯეტო სახსრებს განკარგავენ. საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალედ და კეთილსინდისიერად გამოყენება მუნიციპალიტეტების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, რიგი მუნიციპალიტეტებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევაა, რომ მათ არ გააჩნიათ სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ანალიზებს გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის წინაშე არსებულ გამოწვევებს/საფრთხეებს, ადგენს მათი გადაჭრის გზებს და განსაზღვრავს გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის არსებული სტანდარტების განმტკიცებისთვის განსახორციელებელ ქმედებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფორუმის წევრი მუნიციპალიტეტები შეიმუშავებენ გამჭვირვალეობისა და კეთილსინდისიერების ამალგების საშუალო ვადიან სტრატეგიას, რომელშიც ჩამოყალიბდება კეთილსინდისიერების და გამჭვირვალეობის სახელმძღვანელო სტანდარტები. სტანდარტების დანერგვის მიზნით, შეიმუშავდება ორწლიანი სამოქმედო გეგმა.

გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტანდარტების დანერგვა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში დემოკრატიული მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ვალდებულება 1: გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში				
წამყვანი დაწესებულება		ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია; ხონის მუნიციპალიტეტის მერია; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო; რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია; დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია; ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია.		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი/საერთაშორისო ორგანიზაცია	<p><b>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პარტნიორი:</b> შვედეთული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI); <b>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერია</b> – ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები: პროგრესის სახლი, გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი;</p> <p><b>რუსთავის, წყალტუბოს, დუშეთის, ბოლნისის და ხონის მუნიციპალიტეტების პარტნიორი:</b> გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); პროექტი დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში (DGG); დონორი – დანიის მთავრობა;</p> <p><b>დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პარტნიორი:</b> გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა</p>		
